

## თავი - 20

### იჯარის აღმიატება

#### შენაძლება

- ❖ იჯარის აღრიცხვა;
- ❖ ფინანსური იჯარის აღრიცხვა მოიჯარესთან;
- ❖ ფინანსური იჯარის აღრიცხვა მეიჯარესთან;
- ❖ ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა;
- ❖ მოკლე ახსნა განმარტებები.

## 20 . 1 . იჯარის აღრიცხვა

იჯარის ცნებასთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობის გამო აუცილებელია განიმარტოს, თუ რას გულისხმობს იგი ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებიდან გამომდინარე.

### პას 17-ის „იჯარა“ მიხედვით:

**იჯარა** - არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად მეიჯარე, საიჯარო გადასახდელის ან გადასახდელების სერიის მიღების მიზნით, მოიჯარეს გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

მხარეები, როგორც წესი, შეთანხმებაში თავისუფლები არიან. ამიტომ საიჯარო შეთანხმებები მრავალნაირია. შესაძლებელია იგი ითვალისწინებდეს მოკლე ან სანგრძლივ ვადას, საკუთრების უფლების გადაცემას, იჯარით აღებული ქონების მესამე პირისათვის იჯარით გადაცემის უფლებამოსილებას ან შეზღუდვას და სხვა. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია იჯარის კლასიფიკაცია. ბასის გამოჰყოფს ორი ტიპის იჯარას:

- ა) ფინანსური იჯარას; და
- ბ) ჩვეულებრივ იჯარას.

სტანდარტით საიჯარო ურთიერთობის ასეთი კლასიფიკაცია ეყრდნობა იმას, თუ როგორ არის განაწილებული იჯარით გაცემულ აქტივთან დაკავშირებული რისკები და ეკონომიკური სარგებელი მეიჯარესა (ქონების იჯარით გამცემი) და მოიჯარეს (ქონების იჯარით მიმღები) შორის.

**ფინანსური იჯარა** - გულისხმობს აქტივებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებელის გადაცემას მოიჯარება. საკუთრების უფლება შეიძლება გადაეცეს ან არა.

**რისკი** - გულისხმობს სიმძლავრეთა მოცდენის ან ტექნიკურად მოძველების გამო ზარალის მიღების ალბათობას, ასევე ეკონომიკური პირობების გამო მოგებების მერყეობას.

**ეკონომიკური სარგებელი** - არის აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაში საგარაუდო მომგებიანი ოპერაციების, ასევე აქტივების გაძვირების ან სალიკვიდაციო ღირებულების რეალიზაციიდან შემოსავლების მიღების ალბათობა.

**ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა** - ისეთი ტიპის იჯარაა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად.

იჯარის ტიპის დადგენისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება საიჯარო ხელშეკრულების იურიდიულ ფორმას. იჯარა ფინანსურია თუ ჩვეულებრივი, დგინდება საიჯარო ურთიერთობის ბუნებითა და ფინანსური არსით.

საიჯარო ურთიერთობა ითვლება ფინანსურ იჯარად, თუ სრულდება რომელიმე ქვემოთ მოტანილი პირობა:

- ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების – შემდეგ:

- ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს უფლება აქვს შეიძინოს აქტივი იმ რეალურ ღირებულებაზე მნიშვნელოვნად დაბალი ფასით, რომელიც აქტივს ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის ვადის დასაწყისში არსებობს გონივრული რწმენა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;
- იჯარის ვადა მოიცავს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ძირითად, მნიშვნელოვან ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლება არ გადაიცემა;
- იჯარის ვადის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელის დისკონტირებული ღირებულება შეადგენს მინიმუმ იჯარით გაცემული აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას;
- იჯარით გაცემულ აქტივებს აქვს სპეციფიკური შინაარსი და მხოლოდ მოიჯარეს შეუძლია მისი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

ფინანსურ იჯარად კლასიფიცირების პირობად შეიძლება ჩაითვალონ ასევე შემდეგი სიტუაციები:

- თუ მოიჯარეს შეუძლია გააუქმოს იჯარა და გაუქმებასთან დაკავშირებული მეიჯარის ზარალის ანაზღაურება ეკისრება მოიჯარეს;
- რეალური ნარჩენი ღირებულების ცვალებადობით გამოწვეული მოგება ან ზარალი მიეკუთვნება მოიჯარეს (მაგალითად საიჯარო გადასახდელი და ფასდაკლება, რომელიც ტოლია იჯარის ვადის ბოლოს გაყიდვიდან ამონაგების დიდი ნაწილის);
- მოიჯარეს უფლება აქვს გააგრძელოს იჯარა მეორე ვადით საბაზრო დონეზე მნიშვნელოვნად დაბალი საიჯარო გადასახდელით.

როდესაც იჯარა მოიცავს როგორც მიწის, ასევე შენობა-ნაგებობების ელემენტებს, საწარმო თითოეული ელემენტის კლასიციკაციას ცალ-ცალკე განსაზღვრავს, ან როგორც ფინანსური იჯარა, ან ჩვეულებრივი იჯარა. იმისათვის რომ დადგინდეს, მიწის ელემენტი ჩვეულებრივი იჯარაა თუ ფინანსური, მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი ფაქტორია ის, რომ მიწას, როგორც წესი, აქვს განუსაზღვრელი ეკონომიკური მომსახურების ვადა.

ყოველთვის, როცა აუცილებელია მიწისა და შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებული იჯარის კლასიფიკაცია და აღრიცხვა, მინიმალური საიჯარო გადასახდელი (ხელშეკრულებამდე გადახდილი ნებისმიერი საერთო თანხის ჩათვლით) უნდა განაწილდეს მიწისა და შენობა-ნაგებობებს შორის იჯარის დასაწყისში, საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებაში მიწის ელემენტებისა და შენობა-ნაგებობის ელემენტების პროპორციულად. თუ შეუძლებელია საიჯარო გადასახდელების საიმედოდ გადანაწილება ამ ორ ელემენტს შორის, მთლიანი იაჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნათელია, რომ ორივე ელემენტი წარმოადგენს ჩვეულებრივ იჯარას, რომლის დროსაც მთლიანი იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივი იჯარის სახით.

## 20 . 2 . ფინანსური იჯარის აღრიცხვა მოიჯარება

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარებ ფინანსური იჯარა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა აღიაროს როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო

გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით, რომელიც გაანგარიშებულია იჯარის დასაწყისში. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების გამოსაანგარიშებელი დისკონტების განაკვეთი იქნება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოყენებულ უნდა იქნას მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების ასახვა და წარდგენა ფინანსურ ანგარიშებაში უნდა ეყრდნობოდეს ოპერაციების ბუნებისა და ფინანსური არსის და არა მხოლოდ მისი სამართლებრივი ფორმის გარკვევას. ასე, მაგალითად, საიჯარო ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა საიჯარო ხელშეკრულებაა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს ან არ ითვალისწინებდეს მოიჯარისათვის აქტივზე საკუთრების უფლების გადაცემას. ფინანსური იჯარის არსებობის დამადასტურებელი არსებითი ნიშანი კი ის არის, რომ მოიჯარეს გადაცემა აქტივის გამოყენებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი, საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითადი ნაწილის განმავლობაში, რათა აქტივის მიახლოებითი რეალური ღირებულების შესაბამისად, მან დაფაროს საიჯარო ვალდებულებები და სხვა დაკავშირებული ფინანსური ხარჯები.

თუ ასეთი ტიპის იჯარა ასახული არ არის მოიჯარის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს ეკონომიკური რესურსები და ვალდებულებების სიდიდე შემცირებულია და არ შეესაბამება სინამდვილეს. ამიტომ ფინანსური იჯარისათვის დამახასიათებელია მოიჯარის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში აღიარდეს აქტივი და მომავალში დასაფარავი საიჯარო გადასახდელის ვალდებულება. იჯარის ვადის დასაწყისისათვის, მოიჯარის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში იჯარასთან დაკავშირებული აქტივი და ვალდებულება უნდა აისახოს ერთი და იმავე თანხით.

**მინიმალური საიჯარო გადასახდელები** - არის გადასახდელები, რომლის გადახდა მოეთხოვება ან შეიძლება მოეთხოვოს მოიჯარეს იჯარის ვადის გასვლამდე, მერიჯარისათვის ასანაზღაურებელი პირობითი საიჯარო ქირის გაწეული მომსახურების დანახარჯებისა და გადახდილი გადასახადების გარდა. მინიმალური საიჯარო გადასახდელის მიმდინარე (დისკონტირებული) ღირებულების დასადგენად გამოიყენება საიჯარო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი. თუ საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის საპროცენტო განაკვეთი, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას სასესხო კაპიტალის მატების პროცენტული განაკვეთი (ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით).

**მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი** - არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდა მოუწევდა მოიჯარეს ანალოგიური იჯარის შემთხვევაში. თუ ამის დადგენა შეუძლებელია, საპროცენტო განაკვეთი რომელსაც იჯარის დასაწყისში მოიჯარე გადაიხდიდა ამ აქტივის შესაძნად საჭირო ოდენობის სესხისათვის, იმავე პერიოდზე, ასეთივე უზრუნველყოფით.

მინიმალური საიჯარო გადასახდელები უნდა განაწილდეს დარიცხული ფინანსური ხარჯებისა და გადაუხდელი ვალდებულებების შემცირების პროპორციულად. ფინანსური

ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ.

### **საილუსტრაციო მავალითი:**

საწარმომ 20X0 წლის 1 იანვარს იჯარით აიღო დანადგარი 5 წლის ვადით. იგი კლასიფიცირებულია ფინანსურ იჯარად. საიჯარო ხელშეკრულება ითვალისწინებს ყოველწლიურად 1.500 ლარის გადახდას. საპროცენტო განაკვეთი წლიურად 24 პროცენტია. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება, რომელიც აქტივის რეალურ ღირებულებაზე ნაკლებია, შეადგენს 4.118 ლარს. აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

საიჯარო გადასახდელი, რომელსაც მოიჯარე იხდის იჯარის პერიოდში, შედგება ფინანსური ხარჯისა და საიჯარო ვალდებულებისაგან. მთლიანი ფინანსური ხარჯი იჯარის ვადის განმავლობაში არის სხვაობა მთლიან მინიმალურ საიჯარო გადასახდელებსა და იჯარის დასაწყისში საიჯარო ვალდებულებად აღიარებულ თანხას შორის. საიჯარო ვადასახდელის ყოველი გადახდისას თანადათანობით მკირდება ფინანსური ხარჯის წილი და იზრდება გადახდილი ვალდებულების წილი. მოიჯარე იჯარის დაწყებისას ადგენს საიჯარო ვალდებულების განაწილების (ამორტიზაციის) გრაფიკში საიჯარო ვალდებულება ისე უნდა განაწილდეს, რომ ყოველი პერიოდისათვის ვალდებულების ნაშთის მიმართ ფინანსური ხარჯის პროცენტული განაკვეთი იყოს მუდმივი ე.ი უნდა არსებობდეს ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე მუდმივი პერიოდული პროცენტი. ზემოთ მოტანილი მარტივი მავალითისათვის საიჯარო გადასახდელის განაწილების გრაფიკი შეძლება.

წელი	საიჯარო გადასახდელი	ფინანსური ხარჯი (პროცენტი)	საიჯარო ვალდებულების შემცირება	საიჯარო ვალდებულების ნაშთი
იჯარის დასაწყისი				<b>4118</b>
1	1.500	988	512	3.606
2	1.500	865	635	2.971
3	1.500	713	787	2.184
4	1.500	524	976	1.208
5	1.500	292	1.208	-
<b>ჯამი</b>	<b>7.500</b>	<b>3.382</b>	<b>4.118</b>	

ფინანსური ხარჯის გამოსათვლელად, საიჯარო ვალდებულების ნაშთის მიმართ პერიოდულ საპროცენტო განაკვეთად მუდმივად გამოიყენებულია 24%.

დავუშვათ, რომ ზემოთ განხილული მავალითი ეხებოდა დანადგარებს და მოვახდინოდ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა. ფინანსური იჯარის ობიექტი, როგორც მოიჯარის საკუთარი აქტივი, იგი მიეკუთვნება მოიჯარის მირითადი საშუალებების შესაბამის ჯგუფს. ამასთან სტანდარტი განმარტავს, რომ თუ საწარმოში ვალდებულებები კლასიფიცირებულია გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებად, მაშინ აუცილებელია იგივე მიღობის გამოიყენება ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულების მიმართაც. აქედან გამომდინარე, თუ დავუშვებთ, რომ იჯარით აღებული აქტივის რეალური ღირებულება მუტა

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებულ ღირებულებაზე, იჯარის დაწყებისას აქტივისა და ვალდებულების აღმოჩენა მოხდება ბუღალტრული გატარებით:

**დ. 2150 „მანქანა-დანადგარები“ - 4.118**

**კ. 4130 „ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე“ - 3.606 ლარი**

**კ. 3230 „გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი“ - 512 ლარი**

მოიჯარებ დაფარა პირველი წლის ვალდებულება:

**დ. 3230 „გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი“ - 512 ლარი**

**დ. 8210 „საპროცენტო ხარჯები“ - 988 ლარი**

**კ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში“ - 1.500 ლარი**

მეორე წლის საიჯარო ვალდებულება გადატანილია მოკლევადიან ვალდებულებათა ჯგუფში:

**დ. 4130 „ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე“ - 635 ლარი**

**კ. 3230 „გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი“ - 635 ლარი**

საიჯარო ვადის დამთავრებისას მოიჯარებ აქტივი დაუბრუნა მეიჯარეს:

**დ. 2250 „მანქანა-დანადგარების ცვეთა“ - 4.118 ლარი**

**კ. 2150 „მანქანა-დანადგარები“ - 4.118 ლარი**

ფინანსური იჯარა წარმოშობს ცვეთადი აქტივის ცვეთის ხარჯს, ასევე ფინანსურ ხარჯს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ცვეთადი საიჯარო აქტივების მიმართ მოიჯარის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს საკუთარი ცვეთადი აქტივების მიმართ გამოყენებულ ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას, ხოლო აღიარებული ცვეთის თანხების გაანგარიშება უნდა ხდებოდეს **პას 16-ის –“ძირითადი საშუალებები”** და **პას 38 “არამატერიალური აქტივები”**, შესაბამისად.

ყოველ საანგარიშგებო პერიოდში საიჯარო აქტივის ცვეთის თანხა სისტემატურად უნდა განაწილდეს იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც ნავარაუდევია აქტივის გამოყენება, მოიჯარის მიერ საკუთარი ცვეთადი აქტივების მიმართ გატარებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკის შესაბამისად. თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მოიჯარე მიიღებს საკუთრების უფლებას იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, აქტივის სავარაუდო გამოყენების ვადად უნდა ჩაითვალოს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქტივს ცვეთა დაერიცხება იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი დროის მონაკვეთის განმავლობაში.

საიჯარო აქტივის ცვეთის ანარიცხებისა და ფინანსური ხარჯების შესაბამისი თანხების ჯამი, როგორც წესი, არ ემთხვევა მოცემული საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელების ვალდებულებას. ამიტომ მიზნშეწონილი არ არის გადახდას დაქვემდებარებული საიჯარო გადასახდელების აღიარება ხარჯის სახით. შესაბამისად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ აქტივებისა და მათი შესაბამისი ვალდებულებების თანხები იჯარის ვადის დასაწყისის შემდგომ პერიოდში ერთმანეთის ტოლი აღმოჩნდეს.

## საილუსტრაციო მაგალითი:

ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში, ფინანსური იჯარით არებულ აქტივს ცვეთა ერთცხება წრიცვით მეთოდით, თვეში 824 ლარი – იჯარის მთელ პერიოდზე.

დარიცხულია პირველი წლის ცვეთა იჯარით აღებულ აქტივზე:

**დ. 7170 „ცვეთა და ამორტიზაცია“ - 824 ლარი  
(ან 1630 ანგარიში აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე)  
კ. 2250 „მანქანა-დანადგარების ცვეთა“ - 824 ლარი**

## **20 . 3 . ფინანსური იჯარის აღრიცხვა მემკარშება**

**საწყისი შეფასება.** ფინანსური იჯარის არსიდან გამომდინარე, საიჯარო ობიექტთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი არსებითად მეიჯარედან გადაცემულია მოიჯარეზე. იგულისხმება, რომ მეიჯარემ გადასცა მესაკუთრეობასთან დაკავშირებული უფლებები საიჯარო გადასახდელების ნაკადის სანაცვლოდ. შესაბამისად, მეიჯარემ ფინანსურ იჯარაში მყოფი აქტივები თავის ბალანსში უნდა აღიაროს, როგორც დებიტორული დავალიანება. დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით.

**წმინდა (ნეტო) საიჯარო ინვესტიცია** - არის მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია დასკონტირებული საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით.

**მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია** - არის მეიჯარის თვალსაზრისით ფინანსური იჯარის შესაბამისად, მინიმალური საიჯარო გადასახდელების და მეიჯარისათვის მიკუთვნებული ნებისმიერი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულების ჯამი.

**მისაღები (გამოუმუშვებელი) ფინანსური შემოსავალი** - არის მეიჯარის თვალსაზრისით, ფინანსური იჯარის შესაბამისად, მინიმალური საიჯარო გადასახდელების და მეიჯარესათვის მიკუთვნებული ნებისმიერი არაგარანტირებული სალიკვიდაციო ღირებულების ჯამისა და ამ ჯამის იჯარაში ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთით დასკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

**არაგარანტირებული სალიკვიდაციო (ნარჩენი) ღირებულება** - არის იჯარით აღებული აქტივის სალიკვიდაციო ღირებულების ის ნაწილი, რომლის რეალიზაცია მეიჯარის მიერ უზრუნველყოფილი არ არის ან გარანტირებულია მხოლოდ მეიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ.

**იჯარაში ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთი** - არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც უზრუნველყოფს იჯარის დასაწყისში მინიმალური საიჯარო გადასახდელების დასკონტირებული ღირებულებისა და არაგარანტირებული სალიკვიდაციო ღირებულების დასკონტირებული ღირებულების ჯამის იჯარით აღებული აქტივის რეალური ღირებულებისათვის გათანაბრებას.

მეიჯარის მიზანია ფინანსური შემოსავლის განაწილება სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე იჯარის მთელი ვადის განმავლობაში. როგორც წესი, აღნიშნული შემოსავლის განაწილება ეფუძნება მეიჯარის წმინდა საიჯარო ინვესტიციების უკუგების, მუდმივი პერიოდული განაკვეთის ამსახველ მოდელს.

## საილუსტრაციო მაგალითი:

მეიჯარე ფინანსური იჯარით ქონებას გასცემს 5 წლით, ყოველი წლის ბოლოს 2.000 ლარი საიჯარო გადასახდელის მიღების პირობით. იჯარის ვადის შეძლევა აქტივი დაუბრუნდება მეიჯარეს და მისი ნარჩენი ღირებულება იქნება 300 ლარი. იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი წლიურად 20%-ია. ასეთ შემთხვევაში მეიჯარის თვალსაზრისით, მინიმალური საიჯარო გადასახდელები იქნება 10.000 ( $5 \times 2.000$ ) ლარი; საიჯარო გადასახდელის დისკონტირებული ღირებულება – 5.981 ( $2.000 \times 2.99061$ ) ლარი; ნარჩენი ღირებულების დისკონტირებული ღირებულება – 121 ( $300 \times 0.40188$ ) ლარი; მთლიანი საიჯარო ინვესტიცია – 10.300 ( $10.000+300$ ) ლარი; მისაღები ფინანსური შემოსავალი – 4.198 ( $10.000+300-5.981-121$ ) ლარი; წმინდა საიჯარო ინვესტიცია კი 6.102 ( $10.000+300-4.198$ ) ლარი.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული სამურნეო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის საილუსტრაციოდ გამოვიყენოთ ზემოთ განხილული მაგალითი. დავუშვათ, საიჯარო ქონება არის დანადგარი და შევადგინოთ შემოსავლების განაწილების გრაფიკი

წელი	მისაღები საიჯარო გადასახდელი	ფინანსური შემოსავალი	წმინდა საიჯარო ინვესტიცია	წმინდა საიჯარო ინვესტიციის ნაშთი
იჯარის დასაწყისი				6.102
1	2.000	1.220	780	5.322
2	2.000	1.064	936	4.386
3	2.000	877	1.123	3.263
4	2.000	653	1.347	1.916
5	2.000	384	1.616	300
ჯამი:	10.000	4.198	5.802	300

იჯარის დასაწყისში დებიტორული დავალიანების აღიარება:

- დ. 2320 „ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები“ - 5.322 ლარი
- დ. 1470 „გრძელვადიანი მოთხოვნების მიმღინარე ნაწილი“ - 780 ლარი
- კ. 2150 „მანქანა-დანადგარები“ - 6.102 ლარი

პირველი წლის საიჯარო გადასახდელის მიღება:

- დ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზივუნტ ბანკში“ - 2.000 ლარი
- კ. 1470 „გრძელვად. მოთხ. მიმღინარე ნაწილი“ - 780 ლარი
- კ. 8110 „საპროცენტო შემოსავლები“ - 1.220 ლარი

მომდევნო წლის საიჯარო მოთხოვნების გადატანა მიმღინარე მოთხოვნებში:

- დ. 1470 „გრძელვად. მოთხ. მიმღინარე ნაწილი“ - 936 ლარი
- კ. 2320 „ფინანსურ იჯარასთან დაკავშირ. მოთხოვნები“ - 936 ლარი

## 20 . 4 . ჩვეულებრივი საოპერაციო იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის შემთხვევაში მეიჯარებან მოიჯარეს არ გადაეცემა აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი. აქედან გამომდინარე, აქტივი აღირიცხება მეიჯარესთან და არა მოიჯარესთან. მოიჯარესთან საიჯარო გადასახადები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება ხარჯის სახით, რომელიც თანაბრად ნაწილდება იჯარის პერიოდში, თუ სხვა სისტემური საფუძველი უფრო კარგად არ ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების გრაფიკს. მოცემული დებულებიდან გამომდინარე, მოიჯარე საიჯარო გადასახდელს ხარჯად აღიარებს მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების შედგენის მოქმედები. რადგანაც საიჯარო გადასახდელების გადახდა იშვიათად ემთხვევა საანგარიშგებო წლის ბოლო დღეს, მოიჯარე ხარჯის აღიარებისათვის იყენებს დარიცხვის მეთოდს.

### საილუსტრაციო მაგალითი:

მოიჯარემ 1 ივლისს გააფორმა ხელშეკრულება საოფისე შენობის იჯარაზე. იგი ვალდებულია მეიჯარეს გადაუხადოს იჯარის დაწყებიდან ყოველი 12 თვის გასვლისთანავე 3.000 ლარი. მოიჯარე თვლის, რომ იჯარით აღებული შენობა თანაბრაზე დატვირთვით იქნება გამოყენებული მთელი საიჯარო პერიოდის, 10 წლის განმავლობაში. ე. მთლიანი საიჯარო გადასახდელი თანაბრად იქნება 10 წელზე განაწილებული. აღნიშნულ შემთხვევაში ხელშელრულების გაფორმების წელს მოიჯარე ხარჯად აღიარებს 6 თვის საიჯარო გადასახდელს 1.500 ლარის ოდენობით. აღიარება მოხდება ბურალტრული გატარებით:

დ. 7420 „საიჯარო ქირა“ - 1.500 ლარი

კ. 3490 „სხვა დარიცხული ვალდებულებები“ - 1.500 ლარი

მოძღვნო წლის 1 ივლისს გადახდილია საიჯარო გადასახდელი 3.000 ლარი:

დ. 7420 „საიჯარო ქირა“ - 1.500 ლარი

დ. 3490 „სხვა დარიცხული ვალდებულებები“ - 1.500 ლარი

კ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზივუნტ ბანკი“ - 3.000 ლარი

მეორე წლის ბოლოს, იჯარის გადასახდელზე ბურალტრული გატარება იგივე იქნება, რაც პირველ წელს.

დ. 7420 „საიჯარო ქირა“ - 1.500 ლარი

კ. 3490 „სხვა დარიცხული ვალდებულებები“ - 1.500 ლარი

ჩვეულებრივი იჯარის დროს მეიჯარეებმა საიაჯრო აქტივები უნდა წარადგინონ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის ბუნების შესაბამისად.

იჯარიდან მიღებული შემოსავალი უნდა აღიარდეს თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემატური საფუძველი უფრო დამახასიათებელია იმ დროის მონაკვეთისათვის, რომლის დროსაც იჯარით გაცემული აქტივის გამოყენებისგან მიღებული სარგებელი მცირდება.

იჯარიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული დანახარჯები, ცვეთის ჩათვლით, უნდა აღიარდეს ხარჯის სახით. იჯარიდან შემოსავალი (ისეთი მომსახურების ხარჯების გარდა, როგორიცაა სადაზღვეო და სარემონტო მომსახურება) უნდა აღიარდეს თანაბარზომიერად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუნდაც ფულადი შემოსულობები დაფუძნებული არ იყოს ამ მეთოდზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემატური საფუძველი უფრო დამახასიათებელია იმ დროის მონაკვეთისათვის, რომლის დროსაც იჯარით გაცემული აქტივის გამოყენებიდან მიღებული სარგებელი მცირდება.

### **საილუსტრაციო მავალითი:**

იჯარით გაცემულია შენობა 20X0 წლის 1 მაისს. წლიური საიჯარო გადასახდელი 2.400 ლარია. 1/2 წლის გადახდა უნდა მოხდეს, ყოველი ეჭვის თვის დამთავრებისთანავე.

31 ოქტომბერს მიღებული საიჯარო შემოსავლის აღიარება:

- დ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში“ - 1.200 ლარი  
კ. 8190 „სხვა საოპერაციო შემოსავლები“ - 1.200 ლარი

ნოემბერ - დეკემბერში გამომუშავებული საიჯარო შემოსავლის აღიარება 20X0წ. 31 დეკემბერს:

- დ. 1890 „სხვა დარიცხული მოთხოვნები“ - 400 ლარი  
კ. 8190 „სხვა საოპერაციო შემოსავლები“ - 400 ლარი

20X1 წლის 31 აპრილს მიღებული საიჯარო შემოსავლის აღიარება:

- დ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში“ - 1.200 ლარი  
კ. „8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავლი“ - 800 ლარი  
კ. „1890 სხვა დარიცხული მოთხოვნები“ - 400 ლარი

იჯარით გაცემული აქტივისათვის დარიცხული ცვეთის (200 ლარის) ხარჯად აღიარება:

- დ. 7455 „ცვეთა და ამორტიზაცია“ - 200 ლარი  
კ. 2230 „შენობის ცვეთა“ - 200 ლარი

## **20 . 5 . მოპლე პასნა ბანმარტუნები**

მოიჯარებმა ფინანსური იჯარის შესახებ უნდა გახსნან შემდეგი ინფორმაცია:

- აქტივების თითოეული კლასისათვის საანგარიშებო პერიოდის ბოლოს არსებული ნეტო საბალანსო ღირებულება;
- საანგარიშებო პერიოდის ბოლოს არსებული მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხის შეჯერება მათ დისკონტირებულ ღირებულებასთან.

მეიჯარებმა უნდა გახსნან შემდეგი ინფორმაცია:

- საანგარიშებო პერიოდის ბოლოს არსებული მთლიანი საიჯარო ინვესტიციის შეჯერება, საანგარიშებო პერიოდის ბოლოს არსებულ მისაღებ მინიუმალურ საიჯარო გადასახდელების დისკონტირებულ ღირებულებასთან.

ჩვეულებრივი იჯარის შესახებ მოიჯარებმა უნდა გახსნან შემდეგი ინფორმაცია:

- მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხა, რომელთა მიღება მოსალოდნელია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მიხედვით;
- მომავალი მინიმალური საქვეიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხა, რომელთა მიღება მოსალოდნელია შეუქცევადი იჯარის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ჩვეულებრივი იჯარის შესახებ მეიჯარებმა უნდა გახსნან შემდეგი ინფორმაცია:

- მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომელთა მიღება მოსალოდნელია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მიხედვით;
- საანგარიშგებო პერიოდში შემოსავალში აღიარებული მთლიანი პირობითი საიჯარო ქირა.